

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 13 ივლისის
დადგენილება №511

აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 თებერვლის №2
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 თებერვლის №2 დადგენილების დანართი 2-ის მე-11 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”11. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსს (საგანს) უნდა მიენიჭოს შიდასაუნივერსიტეტო უნიკალური კოდი შემდეგი წესით:

- საგნის კოდი შედგება შვიდი ძირითადი და დამატებითი თანრიგებისგან. დამატებითი თანრიგი ჩვეულებრივ არ ჩანს და გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ პროცედურებში (მაგალითად, მეცადინეობების ცხრილების ავტომატური შედგენის დროს). დამატებითი თანრიგები გამოყოფილია ტირეთი;
- კოდის ძირითადი ნაწილის პირველი ხუთი თანრიგი (მარცხნიდან) წარმოადგენს საგნის აბრევიატურას ინგლისურ ენაზე დასახელების მიხედვით. მათგან პირველი სამი თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო, ხოლო მეოთხე და მეხუთე შეიძლება იყოს როგორც ასო, ასევე ციფრი;
- მეექვსე და მეშვიდე თანრიგები აღნიშნავენ იმ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის) რიგით ნომერს უნივერსიტეტში მიღებული რიგითობის შესაბამისად, სადაც მომზადდა ამ საგნის სილაბუსი;
- დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების ფორმას და არის ლათინური ანბანის ასო (**L** - ლექცია, **S** - სემინარი (ჯგუფში მუშაობა), **P** - პრაქტიკული, **B** - ლაბორატორიული, **K** - საკურსო სამუშაო/პროექტი, **R** - პრაქტიკა);
- სასწავლო კურსს (საგანს) კოდს ანიჭებს სასწავლო კურსის (საგნის) პროგრამის ავტორი და ამოწმებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- სასწავლო კურსის (საგნის) კოდი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული როგორც მის სილაბუსში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამასა და ყველა სხვა დოკუმენტში, სადაც მოითხოვება საგნის კოდის მითითება, ამასთან, საკუთარ სილაბუსში იგი წარმოდგენილი უნდა იყოს სრული სახით, ხოლო სხვა დოკუმენტებში - მხოლოდ მისი ძირითადი ნაწილი.

მაგალითი: **MAT0108-LP** - საგანი "მათემატიკა 1", ძირითადი საგანმანათლებლო
ერთეული (ფაკულტეტი) - "ინფორმატიკისა და მართვის სისტემების",
სწავლების ფორმა - ლექცია, პრაქტიკული."

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე